# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 85 | კვირა, 19 იანვარი 1903 წ. | გაზეთის № 2044.


ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭუნოსთან.—სურათი ფანტაზია დიუბიუფისა.

## მუშები და ძაღლი

(რაფაელ პატკანიანიდან)

სამი მხნე მუშა ბატონის ყანას
ერთგულად მკიდა, ძნებადა ჰკრავდა.
იქვე ახლოს კი ქეცუნა ძაღლი
გამვლელ-გამომვლელს ძალზე ჰყეფავდა.

—

ბატონმა ყანას აჰხედ-დაჰხედა,
ნამუშევარი წესზედა ჰპოვა,
იამა გულში... გამხიარულდა...
და ყველა უხვად დააჯილდოვა...

—

ენა ვერ იტყვის, რა რიგ განცვიფრდა
ჩვენი ქეცუნა მყეფარა ძაღლი,
როს იმოდენა ყეფა-დრენისთვის
ბატონისგან ვერ აიღო დახლი.

—

„ამიერიდან,—წარმოსთქვა ძაღლმა,—
„აღარ მრწამს შრომა, გარჯის მცნებათ,
„როს ადამიანს არ შეუძლიან
„ნაშრომ-ნაღვაწის დაფასებათ."

—

ბატონმა უთხრა:—„ნეტა ვიცოდე,
რა იშრომე, რა გამირიგეთ?"

ძაღლმა მიუგო:—„დაუღალავად
მთელ დღეს რომ ვყეფდი, ვერ გაიგეთ?"

—

კარგად გიცნობ, შე სცოდავო მჯღაბნელო უბედო,
ენერგიულად მოქმედებ და ბევრს... იყეფები,
მაგრამ მაგ ყეფით გინდ ყურებიც გამოგვიჭედო,
მაინც შენსა ერს მუშაკად ვერ გამოადგები.

ბ. ეგანგულოვი.

## სიმღერა

მძინავს თუ მღვიძავს, ვფიქრობ თუ ვსაქმობ,
შენი სახე მაქვს მუდამ თვალ-წინა,
ხატად და ჯვარად ის გამხდომია,
სხვას ვერას ვხედავ გარედ თუ შინა.

—

როდესაც გიმზერ ჩემს გვერდით მყოფსა,
სამოთხე არის ჩემი სიცოცხლე;
მაგრამ თვალთაგან როს მიმეფარვი—
ღამეა ჩემთვის დღისა სინათლე.

—

ვიცი, მთვარე ხარ, მნათობი ცისა,
მე კი—მცირე რამ მიწისა შვილი,
მაგრამ, ხომ იცი, ყველას ერთგვარად
დაჰყურებს იგი ნათლით მოსილი.

არა-პოეტი

# სიმდიდრე

სომხური ლეგენდა

(რუსულიდან)

ძველად დიდ სომხეთში, განშორებული ყოველ გვარ ქვეყნიურ ცხოვრებას, თავს იფარავდა ერთ გამოქვაბულში მოხუცი მესრობი. მეუდაბნოე სარზდოობდა მცენარეულობით და ატარებდა ცხოვრებას ლოცვასა და მარხულობაში. გამოქვაბულს ერტყა უდაბური ტყე, სადაც სცხოვრობდნენ ფრინველნი და მხეცნი და დრო გამოშვებით თავს იფარავდნენ ავაზაკნი. არც ფრინველებისა, არც მხეცებისა და არც ავაზაკებისა მოხუცს არ ეშინოდა; მესრობს ეშინოდა მხოლოდ ბოროტის სულებისა, ეშმაკებისა, რომელნიც სცდილობდნენ იმის შეცდენას, სცდილობდნენ ჭეშმარიტ გზაზე გადაცდენას და მოტყუებას: ხან ჰხედავდა უდაბურ ტყეში ამართულ არამხანებს, სადაც თამაშობდნენ ლეკურს სავსე გულ-მკერდიანი სომხის ქალები, სპარსელი ქალები მომხიბლავის შავის თვალებით და ჩერქეზის ქალები; ხან ჰხედავდა ლამაზად გაშენებულ ქალაქებს, ყოველისავე ნეტარებით სავსეს, დუქნებს კახეთისა და სხვა ქვეყნის ღვინოებით, ძეხვებითა, ხაჭაპურებითა, შიშხინა მწვადებით და სხვა სანოვაგით; ხან იმის თვალწინ იშლებოდა კასპიის უნაპირო ზღვა, რომელიც ლაჟვარდის ზედაპირით იტყუილებდა თავისკენ და თითქოს ეუბნებოდა: „განიბანე, გაჰგრილდი, განიწმინდე ცოდვილი სხეული იმ ჭუჭყისაგან, რომელიც მრავალ წლის განმავლობაში მოგეცხოო.“ მოხუცი მესრობი თავს იჭერდა, ყურს არ უგდებდა და უფრო ხშირად ლოცულობდა.

იგი მოხუცებული იყო, იმისთვის საჭირო არ იყო არც თვალჟუჟუნა, არც შავთვალა ქალები და არც გართობა; არ იყო საჭირო არც ღვინო, არც ხორცი; იმას არ ესაჭიროებოდა სხეულის გაწმენდა ჭუჭყისაგან, რომელსაც ამზადებდა მხოლოდ საფლავისთვის, რომ მიწად ქცეულიყო. მაგრამ მტერი ქრისტეს ჯვარისა ძლიერია და ბრძოლა იმასთან ძნელი. მეფე სიბნელისა შეითანი მეტად უჯავრდებოდა იმათ, ვინც არ ასრულებდა და არ ემორჩილებოდა იმის ნებას.

შებინდდა. სამხრეთის თბილმა ღამემ საჩქაროდ მოიცვა არე-მარე. მოხუცი მესრობი ნელის ნაბიჯით მოდიოდა გამოქვაბულისაკენ. დღესასწაულის მისაგებებლად შეეგროვებინა მოწყალება გულ შემატკივარ ქრისტიანეთაგან. როდესაც გამოქვაბულს მიუახლოვდა, დაინახა, რომ განათებული იყო, თითქმის იქ ურიცხვი ვარსკვლავები აუნთიათო.

— ღმერთო ჩემო!—დაიყვირა მოხუცმა მეუდაბნოემ.—ნუ თუ, ზეცავ, სიხარულს მანიჭებ! ნუთუ ჩემ ღარიბ სადგომის სანახავად მოვიდა ჩვილი იესო!

სიხარულით აივსო მოხუცის გული; საჩქაროდ შევარდა გამოქვაბულში, მაგრამ,—ოხ, საშინელებავ!—ცეცხლის პირად ნაკვერჩხლებივით იწოდა გროვა ოქროებისა. ბრწყინავდნენ ყვითლად, წითლად, მტრედის ფრად, ვარდის ფრად და სასიამოვნო ხმაზედ წკარუნებდენ.

— უფალო შემიწყალე!—უნებლიედ დაიყვირა მოხუცმა და უკან დაიწია. ესმოდა წკარუნი, მაგრამ ისე ეჩვენებოდა, თითქო ფული კი არა, გველები და ქვემძრომნი სისინებენო. მოხუცი მოულოდნელმა შიშმა შეიპყრო. თმა აებურძგნა, მთელის ტანით ცახცახებდა. გამოვარდა გამოქვაბულიდან და გაიქცა.

— სიკვდილი, სიკვდილი!—საშინელის ხმით ჰყვიროდა იგი.

ამ უბედურების მომასწავებელ ყვირილზედ აშფოთდნენ მხეცნი, ფრინველნი და საზარელი ხმაურობა მოჰფინეს მთელ არე-მარეს. ბუებმა და ჭოტებმა, რომელნიც სიბნელეში კარგად ჰხედავენ კაცის უბედურებას, იგრძნეს რაღაც სასარგებლო და დაიწყეს ტრიალი გამოქვაბულის მახლობლად. მოხუცი განუწყვეტლივ ჰყვიროდა: „სიკვდილი, სიკვდილიო“!

— სად არის სიკვდილი?—გაისმა იმის ყურთან და ღონიერმა ხელმა წაუჭირა კისერში. იმის წინ იდგა ოთხი ხანჯლებითა, ხმლებითა და ნაჯახებით შეიარაღებული ავაზაკი.

— აქ არის სიკვდილი, აქ არის!—როგორც შეშლილი ჰყვიროდა მოხუცი.

— გვიჩვენე სად არის?

— აი იქ!—და გაიშვირა მოხუცმა ხელი გამოქვაბულისაკენ.—ნუ მიდიხართ, კეთილნო ხალხნო, იქ სიკვდილია!..

— ჩვენ სიკვდილისა არ გვეშინიან, ჩქარა წაგვიყვანე იქ,—და თითქმის ძალად წაათრიეს გამოქვაბულისაკენ, რომელიც ბრწყინვალე ცეცხლით იყო განათებული.

— აი სიკვდილი!—და უჩვენა მოხუცმა ოქროები.



საქსონიის კრონ-პრინცესა ლუიზა და ჟირონი.

— სულელო!—ერთხმად წამოიძახეს კაცის მკვლელებმა.—აქ სიმდიდრეა, ბედნიერებაა და არა სიკვდილი.

დაინახეს თუ არა აუარებელი სიმდიდრე, მშიერ მგლებსავით ყაჩაღებს თვალები აენთოთ. დაეცნენ ცეცხლის პირას, კოცნიდნენ ფულს და ხმას უშინჯავდნენ. მოჩვენება ხომ არ არისო. არა! იმათ წინ ნამდვილი ოქროები ეყარა. დაავიწყდათ მოხუცი, რომელმაც საჩქაროდ მიატოვა დაწყევლილი ადგილი და გაიქცა, რომ აღარ მობრუნებულიყო.

— ბედნიერება მოგვენიჭა, ძმებო!—სთქვა ყველაზე უფროსმა ერემიამ. იგი იყო მაღალის, ჩასუქებულის ტანის, მკაცრი სახის გამომეტყველების ჭაღარა კაცი.—ეხლა თამამად შეგვიძლიან გადავაგდოთ ჩვენი სამარცხვინო ხელობა და სხვა რამ კარგს მოვკიდოთ ხელი. როგორ ჰფიქრობთ, მეგობრებო!—მიუბრუნდა ამხანაგებს.—ჩვენი სიხარული უნდა ვიდღესასწაულოთ და ერთხელ მაინც ჩვენს სიცოცხლეში მივეგებოთ, როგორც რიგია, შობის წინა ღამეს?

ავაზაკებმა ამოარჩიეს ერთი უწვერ-ულვაშო ახალგაზდა, თვრამეტი წლის ყმაწვილი ბენიამინი, მისცეს ფული და გაჰგზავნეს ქალაქში ღვინისა და სანოვაგის სასყიდად.

— ვიქეიფოთ ცოტა და შემდეგ თანასწორად გავიყოთ ჩვენი სიმდიდრე!

ასე ლაპარაკობდნენ ისინი ხმა მაღლა, ხოლო თავში თვითვეულს სულ სხვა აზრი უტრიალებდა.

— ბევრი არაფერი შეგვხვდება!—სთქვა მოუხეშავის ტანის

ქერა ავაზაკმა საკმა ბენიამინის წასვლის შემდეგ. ეს ავაზაკი ძლიერ ხარბი და გაუმაძღარი იყო.

— ნუ სწუხარ! ესეც ეყოფა ჩვენს სიღარიბეს!— უთხრა მეორე ავაზაკმა ილიამ, რომელიც სხვებზედ უფრო გულ-კეთილი იყო, და ხელი დაჰკრა მხარზედ.

— მართალს ამბობ, მაგრამ ეს ფული ხომ ოთხ ნაწილად უნდა გაიყოს. მე ავაზაკად ათი წელიწადი ვარ, ერემია ოცი და შენც ამდენი, ხოლო ის ლეკვი,—გაიშვირა ხელი იქით, საითაც ბენიამინი წავიდა,—სულ ორი კვირაა, ჩვენ რომ შემოგვიერთდა. ნუ თუ იმასაც ჩვენდა თანასწორად უნდა ერგოს? ეს უსამართლობაა!

— საკი მართალს ამბობს: უნდა როგორმე თავიდან მოვიშოროთ ის!—დაუმატა ერემიამ.

— ყველას აჯობებს, რომ მოვკლათ.

— არა, მოკვლა არ ივარგებს და არც კარგია!—უპასუხა ილიამ, რომელსაც ძლიერ ეჯავრებოდა კაცის სისხლის დაღვრა.— შეგვიძლიან ასე მოვიქცეთ: მივცეთ ცოტა რამე და გაუშვათ; სადაც უნდა, იქ წავიდეს!

—გაგვამხელს ძაღლი!—სთქვა მოხუცმა ავაზაკმა,— გამოცდილებით ვიცი.

მეგობრები დიდ ხანს ბაასობდნენ; თვითეული მომავალზე ჰფიქრობდა. ბენიამინს-კი, რომელიც ქალაქში გაჰგზავნეს, სულ სხვა აზრი უტრიალებდა თავში.

ემბერები და დორინიაკები, რომელნიც შეიპყრეს ისპანიაში შესანიშნავ სიყალბის ჩადენისათვის საფრანგეთში.



ე მ ბ ე რ ე ბ ი.

დედა. ქალი რძალი. (დორინიაკის ცოლი)



ფრიდრიხ ემბერი. რ. დორინიაკი. ემ. დორინიაკი.

„არ მომცემენ ისინი ფულს და თუ მომცემენ, სულ ცოტას. ეხ, რა კარგი იქნება, რომ ის ფული სულ მე დამრჩეს.—იმის ახალგაზდა თავში ერთი მეორეზე უკეთესი სურათები იხატებოდა.—შევირთავდი ცოლს, ლამაზს, თავადის ქალს და მეც თავადი შევიქნებოდი —ფულებით ყველაფერი მოხერხდება“. იმის გონებაში იხატებოდა ავაზაკური გეგმა მთელის სიმდიდრის ხელთ ჩაგდებისა. ბენიამინი ჰფიქრობდა: „ვიყიდი საწამლავს, ჩაურევ ღვინოსა და საჭმელებში,—სჭამონ! მე კი არ დავიწყებ იმათთან ქეიფს“. შევიდა დუქანში, ჭამა, სვა, რამდენიც უნდოდა, შემდეგ იყიდა რაც საჭირო იყო. გაუმაძღარმა მედუქნემ საწამლავიც კი მიჰყიდა.

შუა ღამე იყო, როდესაც ბენიამინი დაბრუნდა გამოქვაბულში, სადაც იმის მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ ამხანაგები. ლანძღვა-გინებით მისცვივდნენ:—სადა ხარ ამდენ ხანს? სად დაიკარგე, შე ძაღლო? შეითანმა წაგიყვანოს შენა?—ეუბნებოდნენ იქით-აქედან. ზარხოშად მყოფმა ახალგაზდამ ვერ მოითმინა და შეუპოვრად უპასუხა. დაიწყეს ერთი მეორის ლანძღვა-გინება, რაიცა შემდეგ ჩხუბად გადაიქცა. იელვა ჰაერში ერთმა ხანჯალმა, შემდეგ მეორემ, მესამემ. ბენიამინმა ერთი კი დაიყვირა და იმისი უსულო გვამი გაიშხლართა ავაზაკების ფეხებთან. ავაზაკებმა წყნარად, თითქო აქ არაფერი მომხდარაო, გაწმინდეს გასისხლიანებული ხანჯლები ტანისამოსზე და ხარბად მიესივნენ მოტანილ სასმელ-საჭმელს. არავის მათგანს არ მოსვლია გრძნობა სიბრალულისა მოკლულისადმი. სჭამდნენ და თან ღვინოს აყოლებდნენ. როდესაც კარგად შეზარხოშდნენ, უეცრად ერემიამ, თითქო რაღაცამ უჩხვლიტაო, ხელი იტაცა გულზედ.

— საწამლავი,—დაიყვირა იმან.

ამისი თქმა ძლივს მოასწრო და ყელიდან ღვინოსთან ერთად სისხლი ამოაქცია.

— საწამლავი! საწამლავი!—გაიმეორეს ერთხმად ყველამ, როდესაც იგრძნეს საშინელი ტკივილი, გული უმძიმდებოდათ და მუცელში თითქო დანებით სჩხვლეტავდნენ.

— სიკვდილი! აი, ეს არის სიკვდილი!

ერთის წამის წინად მხიარულნი და კმაყოფილნი ეხლა საშინლად იტანჯებოდნენ. დაეცნენ მიწის ცივ იატაკზე და მკვლელს წყევა-კრულვას უგზავნიდნენ. კვნესა მათი თან და თან ნელდებოდა. ბოლოს, მწუხარებით დაღრეჯილისა და დამახინჯებულის სახეებით, გაღებულის თვალებით, ყველანი დადუმდნენ. სიკვდილი მოსულიყო.

გამოქვაბულში, რაღაც მანქანებით, ცეცხლი გაჰქრა; საშინელმა სიბნელემ და მყრალმა სუნმა მოიცვა გამოქვაბული. ფული აღარ იწვოდა. ფული გაჰქრა, იმის მაგიერ გამოჩნდნენ ურიცხვი შხამიანი გველები, მორიელები და ქვეწარმავალნი. საშინელის თავებით მიცოცავდნენ უსულო გვამებისაკენ მოწამლულ სისხლის გამოსაწუწნად. მიცოცავდნენ ეშმაკები ავაზაკების უწმინდურ და ცოდვილ სულის გამოსაწოვად, რომ თავიანთ საცხოვრებელ ჯოჯოხეთში წაეღოთ.

სიკვდილი! სიკვდილი—ხორცითაც და სულითაც, და აღსრულდა სიტყვები მოხუც მესრობისა:

— სიმდიდრე სიკვდილია.

დესპინეშვილი.

# ნ ა რ ე ვ ი

**დრო-გამოშვებითი მწერლობა ამერიკაში.** 2 იანვარს ორასი წელიწადი შეუსრულდა დრო-გამოშვებით მწერლობას რუსეთში. ამიტომ უფრო საყურადღებოა ჩვენთვის ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების დრო-გამოშვებით გამოცემათა შესახებ ახალი ცნობები. რამდენად დიდი განსხვავებაა რუსეთსა და ამერიკას შუა, ცხადად სჩანს ამ ორ სახელმწიფოს დრო-გამოშვებით გამოცემათა შედარება. მთელ რუსეთში გამოდის სულ მხოლოდ ათასი დრო-გამოშვებითი გამოცემა, მაგრამ სატახტო ქალაქისა და პროვინციის რამდენიმე ათიოდე გამოცემათა გარდა, უმეტესი ნაწილი რუსეთის გაზეთებისა ძლივს ჩანჩალებენ. მართალია, პროვინციის გაზეთებს ცენზურა მაშინაც კი ავიწროებს, რის შესახებ წერის ნება აქვს მიცემული, მაგრამ არც თუ სატახტო უცენზურო გაზეთებს შეუძლიან ყველაფერზე ლაპარაკი, იმაზედაც კი, რაც მიმდინარე საჭიროებას შეადგენს და რომელიც საზოგადოების ყურადღებას იქცევს. ამიტომა და სხვა ბევრ მიზეზთა წყალობით რიცხვით მცირესა და ნივთიერად ღარიბს რუსეთის პრესას არავითარი ზედ-გავლენა არა აქვს საზოგადოებაზე და ამიტომ არც შეუძლიან შეედაროს დასავლეთ სახელმწიფოთა პრესას.

ამერიკის პრესა კი სულ სხვა გარემოებათა შორის ვითარდებოდა. რუსეთის პრესის თითქმის ერთის ხნისა, ამერიკის პრესა ამ საუკუნის დასაწყისს საკვირველად აჭყვავდა: ამ დროს გამოდიოდა 18.226 ჟურნალ-გაზეთი. შვიდი ათას შვიდამდე გამომცემელნი ყოველ წელს ასადებენ შვიდას მილიონ მანათის ბეჭდვით ნაწარმოებს. უფრო ამას ხელს უწყობს ტეხნიკის გაუმჯობესება და ის გარემოება, რომ ფულიანი კაცები არ ჰზოგავენ დიდი ფულის ამ საქმეში მოხმარებას. საზოგადოებაც ხელს უწყობს გაზეთების განვითარებას.

ქეიფიც ასეთი უნდა! პეტერბურგელი ერთი ვაჭარი დილამდე სმაში ყოფილა გართული, დილას პარიკმახერთან მისულა და უთხოვნია, ისე გამკრიჭეთ და გამპარსეთ, რომ ბანჯგვლიან ძაღლს ვგავდეო. სთხოვარი შეუსრულეს ამ ახირებულ ვაჭარს. მერე ვაჭარს საყელური უყიდია, ქალაქის გამგეობაში მისულა და უთხოვნია, ძაღლზე დაწესებული გადასახადი მიიღეთ ჩემგან და ძაღლის ნომერიც შემაბით ამ საყელურზეო.

რამდენი კამეჩები მოეჩვენებოდა ამ მოქეიფე ვაჭარს ნევსკის პროსპექტზე!...

## 1902 წლის დამლევი ტფილისში.




...მის ხმაზე ასტყდნენ ძაღლები,
შეიქმნა ყეფა უწყალო!
შეჩერდა ერთი გამვლელი
და მსხვილ ქვას ხელი მოავლო.
მეორემ უთხრა: „მაგითი
ნუ ჰფიქრობ მოიგერიო!
ერთს რჩევას მოგცემ, ძმობილო,
და სჯობს ის დაიჯეროო!

ვიცი მაგათი ბუნება
და კარგად ვიცნობ ყველასო,—
ერთი თუ აგიყოლიეს,
აღარ მოგცემენ შველასო!
მაგრამ შენ თუ არ მიაქცევ
სრულიად ყურადღებასო,
კუდების ამოძუებით
შესწყვეტენ ღრენა ყეფასო!“

კრილოვიდან.

სუკეთესო მოკაზმულობა ტფილისის მოყინულ ქუჩებზე სასიარულოდ!

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 18 Января 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა